ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №17

2024 წლის 6 დეკემბერი

დაბა სტეფანწმინდა

## „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №22 დადგენილებაში (w.w.w.matsne.gov.ge 18.12.2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.151.016370) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — დავითი ქირიკაშვილი

**დანართი**

დანართი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **19016,1** | **22375,8** | **4027,9** | **18347,9** | **25468,2** | **6763,8** | **18704,4** |
| გადასახადები | 7694,4 | 11800,0 | 0.0 | 11800 | 13292,4 | 0,0 | 13292,4 |
| გრანტები | 7779,9 | 7460,8 | 4027,9 | 3432,9 | 8658,4 | 6763,8 | 1894.6 |
| სხვა შემოსავლები | 3541,8 | 3115,0 | 0.0 | 3115,0 | 3517,4 | 0,0 | 3517,4 |
| **ხარჯები** | **8341,9** | **11012,0** | **246,9** | **10765,1** | **12944,9** | **228.6** | **12716,3** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 1645,6 | 1945,7 | 70,8 | 1874,9 | 2054,2 | 0.0 | 2054,2 |
| საქონელი და მომსახურება | 726,5 | 1371,8 | 73,8 | 1298,0 | 1307,3 | 54.1 | 1253,2 |
| პროცენტი | 14,4 | 13,0 | 0.0 | 13,0 | 8,0 | 0,0 | 8,0 |
| სუბსიდიები | 4419,7 | 5821,4 | 102,3 | 5719,1 | 7289,3 | 174.5 | 7114,8 |
| გრანტები | 7.0 | 7.7 | 0.0 | 7.7 | 8.5 | 0,0 | 8.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 505,8 | 621,8 | 0.0 | 621,8 | 888,5 | 0,0 | 888,5 |
| სხვა ხარჯები | 1022,9 | 1230,6 | 0.0 | 1230,6 | 1389,1 | 0.0 | 1389,1 |
| **საოპერაციო სალდო** | **10674,2** | **11363,8** | **3781,0** | **7582,8** | **12523,3** | **6535,2** | **5988,1** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **6110,1** | **17803,2** | **4086,4** | **13716,8** | **22445,6** | **6991,1** | **15454,5** |
| ზრდა | 6143,9 | 17803,2 | 4086,4 | 13716,8 | 22445,6 | 6991,1 | 15454,5 |
| კლება | 33,8 | 0.0 | | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **მთლიანი სალდო** | **4564,0** | **-6439,4** | **-305,4** | **-6134,0** | **-9922,3** | **-455.9** | **-9466,4** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **4527,0** | **-6474,4** | **-305,4** | **-6169,0** | **-9955,3** | **-455.9** | **-9499,4** |
| **ზრდა** | **4527,0** | **0** | **0** | **0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 4527,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | | | |
| **კლება** | **0** | **6474,4** | **305,4** | **6169,0** | **9955,3** | **455,9** | **9499,4** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3536.2 | 6474,4 | 305,4 | 6169,0 | 9955,3 | 455.9 | 9499,4 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-37,0** | **-35,0** | **0,0** | **-35,0** | **-33,0** | **0,0** | **-33,0** |
| **ზრდა** | **0.0** | **0,0** | | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| საგარეო | 0.0 | 0,0 | | 0,0 | | | |
| საშინაო | 0.0 | 0,0 | | 0,0 | | | |
| **კლება** | **37,0** | **35,0** | **0,0** | **35,0** | **33,0** | **0,0** | **33,0** |
| საგარეო | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | | |
| საშინაო | 37,0 | 35,0 | 0,0 | 35,0 | | | |
| **ბალან** | **0.0** | **0,0** | | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

## მუხლი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | **19 049,9** | **22 375,8** | **4 027,9** | **18 347,9** | **25468,2** | **6763,8** | **18704,4** |
| **შემოსავლები** | **19 016,1** | **22 375,8** | **4 027,9** | **18 347,9** | **25468,2** | **6763,8** | **18704,4** |
| არაფინანსური აქტივების კლება | 33,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | | |
| ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე) | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | | |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | | |
| **გადასახდელები** | **14522,9** | **28 850,2** | **4 333,3** | **24 516,9** | **35423,5** | **7219,7** | **28203,8** |
| **ხარჯები** | **8341,9** | **11 012,0** | **246,9** | **10 765,1** | **12944,9** | **228.6** | **12716,3** |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6110,1 | 17 803,1 | 4 086,4 | 13 716,8 | 22445,6 | 6991,1 | 15454,5 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე) | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | | | |
| ვალდებულებების კლება | 37,0 | 35,0 | 0,0 | 35,0 | 33.0 | | 33.0 |
| **ნაშთის ცვლილება** | **4 527,0** | **-6 474,4** | **-305,4** | **-6 169,0** | **-9922,3** | **-455.9** | **-9466,4** |

**მუხლი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **25 468,2** ათასი ლარის ოდენობით

| | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | | | | |

| დასახელება | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 19 016,1 | 22 375,8 | 4 027,9 | 18 347,9 | 25468,2 | 6763,8 | 18704,4 |
| გადასახადები | 7 694,4 | 11 800,0 | 0,0 | 11 800,0 | 13292.4 | 0.0 | 13292.4 |
| გრანტები | 7779,9 | 7 460,8 | 4027,9 | 3 432,9 | 8658,4 | 6763,8 | 1894.6 |
| სხვა შემოსავლები | 3 541,8 | 3 115,0 | 0,0 | 3 115,0 | 3517,4 | 0.0 | 3517,4 |

## მუხლი 4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **13 292,4** ლარის ოდენობით

| დასახელება | კოდი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | 11 | **7694,4** | **11800.0** | | **11800.0** | **13292.4** | **0,0** | **13292,4** |
| **ქონების გადასახადი** | **113** | **7552,8** | **6800.0** | | **6800.0** | **7400,0** | **0,0** | **7400,0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 4879,9 | 4550.0 | 0,0 | 4550.0 | 5100,0 | | 5100,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) | 113112 | 1963,1 | 1947.0 | 0,0 | 1947.02 | 1825,5 | | 1825,5 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 132,7 | 2.0 | 0,0 | 2.0 | 2,0 | | 2,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 59,5 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 2,5 | | 2,5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 517,5 | 300,0 | 0,0 | 300,0 | 470,0 | | 470,0 |
| **დამატებითი ღირებულების გადასახადი** | 11411 | **141,6** | **5000.0** | **0,0** | **5000.0** | **5892,4** | **0,0** | **5892,4** |

## მუხლი 5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **8 658,4** ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **7779.9** | **7460.8** | **8658,4** |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** | **0,0** | **0,0** | |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **7779.9** | **7460.8** | **8658,6** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **2518.6** | **614.8** | **503.6** |
| სპეციალური ტრანსფერი | 2800.0 | 0.0 | 0,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 385.7 | 464.8 | 503.6 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 132.8 | 150.0 | 0,0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **5261.3** | **6846.0** | **8154,8** |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 3504.8 | 2327.9 | 5106,3 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 362.0 | 362,0 | 362.0 |
| მგფ-ის თანადაფინანსება | 997.8 | 3216.1 | 1622.6 |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხა | 0,0 | 0,0 | 940.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 396.7 | 0.0 | 0,0 |
| რეგიონალური სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 0,0 | 940,0 | 123,9 |

## მუხლი 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები **3 517,4** ათ.ლარის ოდენობით

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **3541,8** | **3115,0** | **3517,4** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **426,4** | **298,0** | **634,4** |
| **პროცენტები** | **0,0** | **0,0** | **214,4** |
| **რენტა** | **426,4** | **298,0** | **420,0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 107,2 | 80,0 | 200,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 319,,2 | 218,0 | 220,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0,0 | 0,0 | |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **2118,5** | **2069,0** | **2090,5** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **2099,7** | **2043,3** | **2065,7** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 15,9 | 8,3 | 10,5 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,4 | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 2024,0 | 2000,0 | 2005,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 59,4 | 35.0 | 50,2 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **18,8** | **25,7** | **24,8** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 18,8 | 25,7 | 24,8 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **987,7** | **736,0** | **780,0** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **9,2** | **12,0** | **12,5** |

## მუხლი 7. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **12 944,9** ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 8341,9 | 11012,0 | 246,9 | 10765,1 | 12944,9 | 228,6 | 12716,3 |
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 1645,6 | 1945,7 | 70,8 | 1874,9 | 2054,2 | 0.0 | 2054,2 |
| საქონელი და მომსახურება | 726,5 | 1371,8 | 73,8 | 1298,0 | 1307,3 | 54.1 | 1253,2 |
| პროცენტი | 14,4 | 13,0 | 0,0 | 13,0 | 8,0 | 0,0 | 8,0 |
| სუბსიდიები | 4419,7 | 5821,4 | 102,3 | 5719,1 | 7289,3 | 174.5 | 7114,8 |
| გრანტები | 7,0 | 7.7 | 0.0 | 7.7 | 8.5 | 0,0 | 8.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 505,8 | 621,8 | 0.0 | 621,8 | 888,5 | 0,0 | 888,5 |
| სხვა ხარჯები | 1022,9 | 1230,6 | 0.0 | 1230,6 | 1389,1 | 0.0 | 1389,1 |

მუხლი 8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **22 445,6** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **22 445,6** ათასი ლარის ოდენობით

| | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 325,4 | 82,6 | 87,3 |
| 01 01 | საკანონმდებლო და არმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 325,4 | 82,6 | 87.3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **5611,4** | **16855,5** | **21739,7** |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **3278,4** | **7014,9** | **8892,6** |
| 02 01 01 | ახალი გზების მშენებლობა | 3278,4 | 6864,9 | 8885,0 |
| 02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | 0,0 | 150,0 | 7,6 |
| **02 02** | **წყლის სისტემის მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **1552,7** | **1165,0** | **1229.3** |
| 02 02 01 | სასმელი წყლის მოწყობა ,რეაბილიტაცია | 19,4 | 721,9 | 775.1 |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია | 1533,3 | 434,1 | 444.2 |
| 02 02 03 | წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა | 0,0 | 0,0 | 10,0 |
| **02 03** | **გარე განათება** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| **02 04** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **324,6** | **5776,1** | **7583,9** |
| 02 04 01 | მშენებლობა,ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 0,0 | 1145,1 | 6074,3 |
| 02 04 02 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა | 166,2 | 2409,0 | 604,4 |
| 02 04 03 | დ.სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის ურბანული განახლება | **158,4** | **2222,0** | **905,2** |
| **02 05** | **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა** | **157,9** | **669,2** | **1091,0** |
| **02 06** | **სოფლის პროგრამის მხარდაჭერა** | **297,8** | **1290,3** | **1914,3** |
| **02 07** | **განაშენიანების გეგმა** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| **02 08** | **ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა** | **0,0** | **0,0** | **0.6** |
| **02 09** | **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისზიებების დაფინანსება** | **0,0** | **940,0** | **1028,0** |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **80,9** | **495,1** | **68,9** |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 0,0 | 474,0 | 60,0 |
| 03 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნაჩენების გატანა | 3,2 | 6,6 | 5.8 |
| 03 03 | ა(ა)იპ „თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაცვა“ | 77,7 | 13,0 | 3,1 |
| 03 04 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | 0,0 | 1,5 | 0,0 |
| **04 00** | **განათლება** | **99,4** | **317,0** | **353,5** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 0,0 | 8,0 | 33,6 |
| 04 02 | საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია | 99,4 | 309,0 | 319,9 |
| 04 03 | განათლების ხელშეწყობა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **05 00** | **კულტურა,ახალგაზრდობა და სპორტი** | **22,9** | **53,0** | **193.2** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 8,9 | 14,0 | 167.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | | | 160.0 |
| 05 01 02 | ა(ა)იპ ყაზბეგის სპორტის განვითარების ცენტრი | 8,9 | 14,0 | 7,0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 14,0 | 39,0 | 26.2 |
| 05 02 02 | ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | 14,0 | 39,0 | 26.2 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **05 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოც.უზრუნველყოფა** | **4,0** | **0,0** | **3.0** |
| 05 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 0,0 | 0,0 | 3.0 |
| 05 02 | მოსახლეობის სოც. უზრუნველყოფა | 4,0 | 0,0 | 0,0 |
| | **სულ არაფინანსური აქტივების ზრდა** | **6143,9** | **17803,2** | **22445,6** |

ბ) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **33,8** | **0.0** | **0,0** |
| ძირითადი აქტივები | 0.0 | **0.0** | **0,0** |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | **0.0** | **0,0** |
| არაწარმოებული აქტივები | 33,8 | **0.0** | **0,0** |
| მიწა | 33,8 | **0.0** | **0,0** |

**მუხლი 9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში , თანდართული რედაქციით:

| | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2774,9** | **3197,5** | **3283.5** |
| 7011 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა, | 2774,9 | 3151,8 | 3222.8 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2774,9 | 3151,8 | 3222.8 |
| 0112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 35,0 | 50,0 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო | 0,0 | 10,7 | 10,7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | | | |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **4774,0** | **14849,8** | **20222,1** |
| 7045 | ტრანსპორტი | 3552,5 | 7410,4 | 9721,8 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 3552,5 | 7410,4 | 9721,8 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 1221,5 | 7439,4 | 10500,3 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **2547,7** | **2151,1** | **2336,4** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1014,5 | 1717,0 | 1892,2 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 1533,2 | 434,1 | 444.2 |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **664,2** | **3495,5** | **3172,2** |
| 7063 | წყალმომარაგება | 202,6 | 960,5 | 1200.4 |
| 7064 | გარე განათება | 119,9 | 133,7 | 15,5 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 341,7 | 1461,3 | 1956.3 |
| **707** | **ჯამრთელობის დაცვა** | **112,7** | **102,3** | **177.5** |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 112,7 | 102,3 | 177.5 |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **1560,4** | **2257,0** | **2884,8** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 434,0 | 1034,0 | 1500.8 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1122,4 | 1173,0 | 1384,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 4,1 | 50,0 | 50,0 |
| **709** | **განათლება** | **1489,7** | **2039,7** | **2347.5** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1329,5 | 1666,4 | 1973,5 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 60,8 | 64,3 | 54,1 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 60,8 | 64,3 | 54,1 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 99,4 | 309,0 | 319.9 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **599,1** | **757,3** | **999,5** |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 319,7 | 425,0 | 620,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 6,2 | 20,0 | 15,5 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 248,3 | 250,3 | 348,0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა | 24,9 | 62,0 | 16,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | სულ | 14522,9 | 28850,2 | 35 423.5 |

## მუხლი 10.ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო **- 9 922.3** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 10674,2 | 11363,8 | 12 523,3 |
| მთლიანი სალდო | 4564,0 | 6439,4 | -9 922.3 |

## მუხლი 11. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - **9955.3** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 4527,0 | -6474,4 | - 9955.3 |
| **ზრდა** | **4527,0** | **0,0** | **0,0** |
| ვალუტა და დეპოზიტი | 4527,0 | 0,0 | 0,0 |
| **კლება** | **0,0** | **6474,4** | **9955.3** |
| ვალუტა და დეპოზიტი | 0,0 | 6474,4 | 9955.3 |

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 33,0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტს შორის „მყარი ნარჩენების პროექთან“დაკავშირებით 2017 წლის 13 მარტს გაფორმებული პროექტის ქონების გადაცემის შესახებ სასესხო ხელშეკრულება №52, ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის ერთი ცალი კომფაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანის და 100 (ასი) ცალი ნარჩენების კონტეინერის გადაცემის ღირებულება.ძირითადი თანხა შეადგენს 223337 (ორასოცდასამი ათას სამას ოცდაჩვიდმეტი) ლარს. 2019 წელს გადახდილია 11600 (თერთმეტი ათას ექვსასი) ლარი, 2020 წელს - 18106 (თვრამეტი ათას ას ექვსი) ლარი, 2021 წელს - 46668 (ორმოცდაექვსი ათას ექვსას სამოცდარვა)ლარი, 2022 წელს -36999 (ოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, ხოლო 2023 წელს-32436 (ოცდათორმეტი ათას ოთხას ოცდათექვსმეტი) ლარი.

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | -37,0 | -35,0 | -33,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საშინაო | | | |
| საგარეო | | | |
| **კლება** | **37,0** | **35,0** | **33,0** |
| საშინაო | 37,0 | 35,0 | 33,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 |

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები პროგრამები/ქვეპროგრამები**

**მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **23 838,5** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **9347,0** |
| 020101 | ახალი გზების მშენებლობა | 9323,8 |
| 020102 | გზების მიმდინარე შეკეთება | 23,2 |
| **0202** | **წყლის სისტემების განვითარება** | **1644,6** |
| 020201 | სასმელი წყლის მოწყობა, რეაბილიტაცია | 775,1 |
| 020202 | კანალიზაციის სისტემის მოწყობა,რეაბილიტაცია | 444,2 |
| 020203 | წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა | 425,3 |
| **0203** | **გარე განათება** | **15,5** |
| 020301 | გარე განათების მშენებლობა რეაბილიტაცია | 0.0 |
| 020302 | გარე განათების მოვლა-პატრონობა | 15,5 |
| **0204** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **8301,3** |
| 020401 | მშენებლობა,ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია | 6074,3 |
| 020402 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია | 604,4 |
| 020403 | დაბაში ცენტრალური ნაწილის ურბანული განვითარება | 1622,6 |
| **0205** | **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა** | **1091,0** |
| **02 06** | **სოფლის პროგრამის მხარდაჭერა** | **1956.3** |
| **02 07** | **განაშენიანების გეგმა** | **0.0** |
| **02 08** | **ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა** | **374,8** |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| 02 09 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | 1108,0 |
| | ჯამი | 23838,5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 01 | | 9347,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია სხვადასხვა დასახლებებთან, მათ შორის საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. დაგეგმილია დაბაში გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება. ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებების მოწყობა გზებზე და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტებთან. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br><br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები | გენდერული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალი გზების მშენებლობა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 01 01 | | 9323,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 1081,7 კმ², მუნიციპალიტეტი მოიცავს ორ დაბასა და 45 სოფელს. მუნიციპალიტეტს  მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული. საგზაო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გამო მუდმივად საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.დაგეგმილია დაბა სტეფანწმინდაში თბილისის, ყაზბეგის, 9 აპრილის,ტაბიძის და ბეთლემის ქუჩების რეაბილიტაცია,ასევე დაგეგმილია სოფ. არშის, სოფ. ტყარშეტის, სოფ. ყანობის,სოფ.ახალციხის,სოფ. გარბნის ცენტრალური და შიდა გზების,სოფ. ხურთისის გზის რეაბილიტაცია. სიონის და გორისციხის ეკლესიებთან მისასვლელი გზების და სოფ. აჩხოტის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიისათვის შპს „ერ-ტე-დე“-ს სასარგებლოდ დაკისრებული შესრულებული სამუშაოების (სოფ. სიონში შიდა გზების რეაბილიტაცია),  ანაზღაურება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, შეიქმნება ახალი სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული ობიექტები | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | დაფინანსება ათას ლარში<br>23,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გამო საგზაო ინფრასტრუქტურა მუდმივად საჭიროებს მიმდინარე შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი ვიდეოკამერების როგორც შეძენა ისე მათი მომსახურების ღირებულების შესყიდვა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი<br>02 02 | წყლის სისტემის მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში<br>1644,6 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.<br><br>პროგრამის მიზანია:<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას მიეწოდებოდეს სასმელი წყალი;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.<br><br>-გამართული საკანალიზაციო სისტემები<br><br>წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გამართული წყალმომარაგება მათ შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათი ჩართულობის ხანგრძლივობა. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 5 -გენდრული თანასწორობა<br><br>მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია<br><br>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; | გენდერული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართული წყალმომარაგების სისტემები. მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 02 01 | სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | დაფინანსება<br>ათას ლარში<br>775.1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია სოფ. გარბანში, სოფ. გორისციხეში,სოფ. სნოში , სოფ. ახალციხეში,სოფ. ყანობში წყლის სისტემების რეაბილიტაცია.<br>სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი.სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართული წყალმომარაგების სისტემა . მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული დასახლებების მაცხოვრებლები უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლის მიწოდებით. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 02 02 | კანალიზაციის სისტემების მოწყობა- რეაბილიტაცია | დაფინანსება<br>ათას ლარში<br>444.2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | . ქვეპროგრა ითვალისწინებს საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. დაგეგმილია : სოფ. ჯუთის და სოფ. ტყარშეტის საუბნო საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი.სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია | | |
| მოსალოდნელი შედეგი | კანალიზაციის მშენებლობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლითაც ისარგებლებს 400-მდე ბენეფიციარი. ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 03 | | 425,3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | | | |

| | |
|---|---|
| | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | .<br><br>ყაზბეგის მუნიციპალიტტის ტერიტორიაზე აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყლისა და კანალიზაციის შიდა ქსელის სისტემების მოვლა-პატრონობა.მისი მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება, წყლის მიწოდების რეგულაცია უბნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ მიიღოს არსებული გრაფიკით წყალი. გამართული საკანალიზაციო სისტემების უზრუნველყოფა. ასევე თებერვლის თვიდან გათვალისწინებულია დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.მოხმარებული<br><br>ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა.<br><br>ხარისხიანი წყლის მიწოდება ამცირებს დაავადებათა რისკებს, სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, რადგან უფრო მეტად სწორედ მათ უწევთ ოჯახის ჰიგიენაზე ზრუნვა.<br><br>გათვალისწინებულია აგრეთვე გარე განათების მოვლა-პატრონობა,გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ხარჯი<br><br>სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი.სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელის და გარე განათების გამართული ფუნქციონირება და წარმოქმნილი გაუმართაობების დროულად აღმოფხვრა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათება | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 03 | | 15,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ღამით უსაფრთხო გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია გარე განათების არსებული ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება, ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობას, მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას.<br><br>გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br><br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები | გენდერული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ღამის საათებში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br><br>02 03 02 | გარე განათების  მოვლა-პატრონობა | დაფინანსება<br><br>ათას ლარში<br><br>15,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | .<br><br>დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათების მოწყობა. არსებული მდგომარეობით მუნიციპალიტეტში გარე განათების სერვისი მიეწოდება მოსახლეობის 95 პროცენტს.გარე განათების ქსელი მოიცავს 1501 ბოძს და ამდენივე სანათს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:  მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება, | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება;<br><br>პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | კეთილმოწყობა | | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 | | | 8301,3 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობების, სკვერების და პარკების, აგრეთვე სხვადასხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებს.გათვალისწინებულია სოფელ არშაში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობის დაწყება.დაბა სტეფანწმინდაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის დასრულება, უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.სოფ. სიონში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაციის და დაბა სტეფანწმინდაში 112-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მშენებლობის დასრულება. დაბა სტეფანწმინდაში ცენტრალური ნაწილის ურბანული რეაბილიტაცია. | | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br><br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები | | გენდერული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.კმაყოფილი მოსახლეობა | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 01 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 6074,3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია : სოფელ არშაში სპორტული კომპლექსის მშენებლობა. მოხდება პროექტის ფარგლებში ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მის ადგილზე სამსართულიანი სპორტკომპლექსის მშენებლობა, სადაც განთავსდება ჭიდაობის დარბაზი სარბენი ბილიკებით,საცურაო აუზი,ფიტნეს დარბაზი,მასაჟის ოთახი,ჭიდაობის, კრივის ,ტანვარჯიშის , საკონფერენციო დარბაზები და ა შ. ასევე მოხდება სტეფანწმინდაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის დასრულება და უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელიშედეგი | კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია. კმაყოფილი მოსახლეობა. ვიზიტოთა გაზრდილი რაოდენობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 04 02 | | 604,4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფ. სიონში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაციის და დაბა სტეფანწმინდაში 112-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მშენებლობის დასრულება. | | |
| მოსალოდნელიშედეგი | -მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; -გაუმჯობესებული ეკოლოგიური გარემო;<br><br>-მოსახლეობის უსაფრთხოება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | დ.სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის ურბანული განვითარება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 04 03 | | 1622,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულება:<br><br>1. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტები<br><br>გამგეობის შენობის ფასადების, გამგეობის შენობის გვერდზე მცირე სკვერის, დაბის ცენტრალურ ნაწილში სკვერის და დიდი სკვერის რეაბილიტაცია.<br><br>2. კერძო სექტორის ობიექტები:<br><br>კომერციული და საცხოვრებელი ფუნქციის შენობა -ნაგებობები<br><br>შეძლებისდაგვარად უნდა შენარჩუნდეს შენობათა მხატვრულ -არქიტექტურული ღირებულება და ხელი შეეწყოს ტურიზმის სწორ განვითარებას<br><br>3.საინჟინრო, საგზაო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ობიექტები; | | |

| | |
|---|---|
| | ქუჩათა ქსელის, საავტომობილო გზის, კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის და გარე განათების რეაბილიტაცია.<br><br>ინფრასტრქუტურული სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. დაბა სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის იერსახის კეთილმოწყობა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | 02 05 | | | 1091,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკურიზედამხედველობის(საექსპერტომომსახურების)სამუშაოების შესყიდვა.პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. | | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; | | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადებულია; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს). | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 06 | | 1956,3 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: დაბა სტეფანწმინდაში,სოფელ ტყარშეტში და სოფელ აჩხოტში სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაცია,სოფ. ფანშეტის სარიტუალო დარბაზის მშენებლობის დასრულება.სოფელ გერგეტში სასაფლაოების შემოღობვა.<br><br>აგრეთვე, რაიონის სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებულია -362,0 | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ათ.ლარი, რომელიც გამოყოფილი იქნა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულებით. „სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“. ასევე გათვალისწინებულია 130.0 ათ.ლარი და 208,9 ათ. ლარი 2024 წლის 1/1-სათვის არსებული ტრანსფერის ნაშთიდან. (საქ. მთავრობის 15/02/2022 წლის №277 და 29/12/2022 წლის №2476 განკარგულებებით დარჩენილი თანხები). აგრეთვე გათვალისწინებულია 2024 წლის სოფლის პროგრამების განსახორციელებლად საჭირო თანადაფინანსება.<br><br>გათვალისწინებულია აგრეთვე რაიონის სოფლებში წყალ-კანალის რეაბილიტაცია.<br><br>ინფრასტრქუტურული სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 08 | | 374,8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა) იპ „ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური“ | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არსებულ ეტაპზე ა(ა) იპ „ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური“-ის ავტოპარკის ბალანსზე არის 9 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და 6 ერთეული ტექნიკა. მათ შორის ერთი ავტობული და 4 მიკროავტობუსი, რომლებიც ემსახურებიან რაიონის 14 სოფელს. ა(ა)იპ<br><br>„კეთილმოწყობა“ უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის მოვლა-პატრონობას. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისა და მუნიციპალური სერვისების შეუფერხებელი მომსახურების უზრუნველყოფა. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | ტრანსპორტი მუშაობს გამართულად, რეისები ხორციელდება შეფერხების გარეშე და უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარებში |
| | 02 09 | | 1108,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | | | |

| | |
|---|---|
| | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | . პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.შემცირდება სტიქიით მიყენებული ზარალის საფრთხე, განხორციელდება დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია. პროგრამით გათვალისწინებულია სტიქიის დროს დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა და თრუსოს ხეობაში ხიდის მშენებლობა. სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი.სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია |
| მოსალოდნელი შედეგი | დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები.მგზავრთა კომფორტული უსაფრთხო გადაადგილება.მგზავრობის დროის შემცირება. |

## მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00 )

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1 892,2** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და

ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

| პროგრამული კოდი | დასახელება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|
| **0300** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1892,2** |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 101,0 |
| 03 02 | მუნიციპალური ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 91,5 |
| 03 03 | ა(ა)იპ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი | 294,2 |
| 03 04 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | 5,5 |

<table>
<tr><td rowspan="2">პროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">დასუფთავების ღონისძიებები</td><td>დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>03 01</td><td>101,0</td></tr>
<tr><td>პროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="3">ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია</td></tr>
<tr><td>პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="3">პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხის დაფარვა 28 აპრილსა და 28 ოქტომბერს (ხელშეკრულება № 52) ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის პროექტი ქონების გადაცემის შესახებ „ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ შესაბამისად, გადასახდელი ძირი -33.0 ათ.ლარი და დარიცხული საპროცენტო თანხა-8.0 ათ.ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.გათვალისწივებულია აგრეთვე ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა.</td></tr>
<tr><td>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</td><td>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br><br>მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება</td><td>გენდერული</td><td>არა</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="3">მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ყაზბეგის რაიონის ვალდებულებების დაფარვა</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2">პროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნაჩენების გატანა</td><td>დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>03 02</td><td>1491,5</td></tr>
<tr><td>პროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="3">ა(ა)იპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანა.<br><br>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" ახორციელებს</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | დაბისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას,მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას.<br><br>ქვეპროგრამა მოიცავს აგრეთვე დ.სტეფანწმინდაში სასაფლაოების და მისი ტერიტორიის მოვლა-პატრონობას, ზამთრის სეზონზე მუნიციპალური გზების გაწმენდას თოვლის საფარისგან, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნას. არსებულის სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა.შხამქიმიკატებით ნარგავების შეწამვლა და დამუშავება ხეების გადაბელვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.<br><br>გათვალისწინებულია აგრეთვე მიუსაფარი ცხოველების (ძაღლების) ვეტერინალური მომსახურება<br><br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილი პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br><br>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;<br><br>მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება..მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება დაბა და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ „ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი“ | დაფინანსება<br><br>ათას ლარში |
| | 03 03 | | 294,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ“ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრის ადმინისტრაცია“ | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია: ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიით და კულტურით გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თრუსოს ხეობის ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, რეკრეაციულ - ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობა, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა.საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები | გენდერული | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება, კანონით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 | | 5,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა) იპ „ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური“ | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება იანვრის თვეში მომუშავე პერსონალის შრომის ანაზღაურება . | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო | | |

## მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2 347,5** ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წელი |
|---|---|---|
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 1973,5 |
| 04 02 | საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია | 319,9 |
| 04 03 | განათლების ხელშეწყობა | 54,1 |
| 04 00 | სულ პრიორიტეტი | 2347,5 |

<table>
<tr><td rowspan="2">პროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება</td><td>დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>04 01</td><td>1973,5</td></tr>
<tr><td>პროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="3">ა(ა)იპ -„ სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი „</td></tr>
<tr><td rowspan="3">პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="3">საქართველოს ორგანული კანონის“ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფას და სხვა ღონისძიებების გატარებას.<br><br>ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებილებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი.პროგრამის მიზანია:<br><br>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა,სადაც დაცული იქნება“ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები.<br><br>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული და ფიგიენური ნორმების დაცვა,რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან.<br><br>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა,რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან.<br><br>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარების გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.</td></tr>
<tr><td colspan="3">მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 196 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს</td></tr>
<tr><td colspan="3"></td></tr>
<tr><td>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</td><td>მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა</td><td>გენდერული</td><td>დიახ</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="3">მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა</td></tr>
</table>

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლებისა და ბაღები რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 02 | | 319,9 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობს განათლების ობიექტების რეაბილიტაცია. ძირითადი აქტივების მშენებლობა, არსებულის მიმდინარე შეკეთება და მოვლა-პატრონობა. კერძოდ: გათვალისწინებულია რაიონის ყველა ბაღში გათბობის სისტემის მოწყობის დასრულება<br><br>საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და მოეწყობა ინკლუზიური გარემო. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება<br><br>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია გენდერულად მგრძნობიარე, სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო ფიზიკური გარემო სკოლამდელი განათლების შეუფერხებლად მისაღებად | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | განათლების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 03 | | 54,1 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება მიღებული სახელმწიფო ტრანსფერებით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა. | | |

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

„კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2 884,8** ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წელი |
|---|---|---|
| **05 01** | **სპორტის სფეროს განვითარება** | **1500.8** |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 160.0 |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| 05 01 02 | ა(ა )იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი | 780,8 |
| 05 01 03 | ა(ა)იპ მცხეთა-მღიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი | 560,0 |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | **1384,0** |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებები | 104,0 |
| 05 02 02 | ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | 1230,0 |
| 05 02 03 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 50,0 |
| | **სულ პრიორიტეტი** | **2884,8** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის სფეროს განვითარება | | დაფინანსება<br><br>ათას ლარში |
| | 05 01 | | | 1500.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის , ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ჩატარდება მუნიციპალური, რეგიონული ტურნირები ჭიდაობის სხვდასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში.<br><br>პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. | | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა<br>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა | | **გენდერული** | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. სასპორტო განათლების სისტემის განვითარება, ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების, ფიზიკური აღზრდის, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება. | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 01 01 | | 160.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის,ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება. განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, ხელშეწყობა . გაკეთდება ახალი საცოცი კედელი. დასრულდება სოფ. გორისციხეში სტადიონის მოწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდების ნიჭისა და უნარის განვითარება, მათი სპორტის სფეროში ჩართულობის უზრუნველყოფა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ „ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 780,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა) იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“ | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის “ დაფინანსებას და შესაბამისად სპორტის სხვადასხვა წრის (ფეხბურთი, ჭიდაობა,ჭადრაკი, კარატე, ტანვარჯიში, მეკლდეურობა, რაგბი) შეუფერხებელ ფუნქციონირებას მთელი წლის განმავლობაში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდების ნიჭისა და უნარის განვითარება, მათი სპორტის სფეროში ჩართულობის უზრუნველყოფა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ „მცხეთა- მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“ | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 03 | | 560,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის,ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის მიზანია რაგბის კლუბის ჩამოყალიბება და მისი განვითარება. სარაგბო სპორტული ღონისზიებების მოწყობა და ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა. მცხეთა -მთიანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში სარაგბო სპორტის განვითარების ხელსეწყობა, სოციალური მიმართულებით პრიორიტეტული ჯანსაღიცხოვრების წესის მხარდაჭერის აქტივობის დაგეგმვა-განხორციელება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. სასპორტო განათლების სისტემის განვითარება, | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს განვითარება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 | | 1384,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის,ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; ადგილობრივი თვითმყოფადობის და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების მხარდჭერას.<br><br>გათვალისწინებულია კულტურის დაწესებულებების სერვისების ისე დაგეგმვა, რომ პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა<br>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა | გენდერული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | არსებული სახელოვნებო და კულტურული დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება, მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 | | 104,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის,ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ეტალონის დაფინანსება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 02 | | 1230,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდ ობის,ჯანმრთელობის, ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის სახლები და ბიბლიოთეკები კულტურის სახლები ემსახურება: გასვლით და ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების ორგანიზებას. სამუსიკო, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნიმუშების შეგროვება, შესწავლა და განვითარებას; ხალხური რეწვის ტრადიციული დარგების განვითარების ხელშეწყობას; შემოქმედებითი პროექტების განხორციელებას; ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, სტუდიების, კლუბების შექმნის ხელშეწყობას და ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებას;<br><br>ბიბლიოთეკაში ფონდების გამდიდრება და მომსახურების დახვეწა, ინოვაციური მიდგომების დანრეგვა.თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება მრავალფუნქციურ დაწესებულებად სხვადასხვა პარტნიორ სტრუქტურებთან ერთად; არსებული პირობებიდან და | | |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინება. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარება და მოსახლეობის საჭირო ლიტერატურით მომარაგებას. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 03 | | 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ფინანსური დახმარება თრუსოს ხეობაში სასულიერო კერის დაარსების მიზნით . | | |
| მოსალოდნელი შედეგი | რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება;თრუსოს ხეობის აღორძინება გა განვითარება | | |

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1177,0** ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგ

| ორგანიზაციული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2024 წელი |
|---|---|---|
| **06 00** | **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1177,0** |
| **06 01** | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **177,5** |
| **06 02** | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **999,5** |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 620,0 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 15,5 |
| 06 02 03 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 348,0 |
| 06 02 04 | უპატრონო მიცვალებულებისა და ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება | 1,0 |
| 06 02 05 | უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვა | 15,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 | | 177,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:<br><br>•გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;<br><br>•იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;<br><br>•იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;<br><br>•პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;<br><br>•საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა;<br><br>•მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.<br><br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და ტუბერკულოზზე გამოკვლევები, რომლის მიზანია ტუბერკულოზის, აივ ინფექციისა და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მისი გავრცელების პრევენცია. პროგრამის მოსარგებლეები არიან ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 3- ჯანმრთელობა და კეთილდღეობა | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 01 | | 620,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ბაშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს დაუფინანსდება სამედიცინო კვლევები და ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა.<br><br>ონკოდაავადების მქონე მოქალაქეებს, შშმ პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ იმ პირებს,რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000 -მდე სარეიტინგო ქულა სამედიცინო კვლევა უფინანსდება 1000 ლარამდე.ყველა სხვა სახის კატეგორიის მოქალაქეებს-არა უმეტეს 500 ლარისა.<br><br>საყოვალთაო ჯანდაცვის დაზღვევის ან კერძო დაზღვევის პაკეტის ფარგლებში არაანაზღაურებადი ამბულატორული და სტაციონალური მკურნალობა დაფინანსდება წარმოდგენილი ღირებულების 0-დან | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | 800 ლარამდე -არაუმეტეს 500 ლარისა,801ლარიდან -1000 ლარამდე-70 %,1001 ლარიდან 3000 ლარამდე-65 %, ,ხოლო 3001 ლარიდან და ზევით არაუმეტეს 2000 ლარისა.საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან კერძო დაზღვევის პაკეტით გათვალისწინებული დაფინანსების შემდგომ ანაზღაურდება 0-დან 3000 ლარამდე -70 %,3001 ლარიდან ზევით არაუმეტეს 2100 ლარისა.<br><br>სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე 5წლამდე ასაკის ბავშვებსა და 80 წელს გადაცილებულ მოხუცებს ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობის თანადაფინანსების თანხა შეიძლება აუნაზღაურდეს 100 %-ით,მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა.<br><br>განსაკუთრებულ შემთხვევაში (მძიმე ეკონომიკური და სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა) პაციენტის მიერ გადასახდელი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობის ღირებულება შეიძლება დაფინანსდეს 90 %-ით,კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.<br><br>მოქალაქეები,რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 100 000 ქულამდე,პენსიონერებს და ქრონიკულად დაავადებულებს , სამედიცინო ცნობისა (ფორმა №100 ) და ექიმის დანიშნულების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნებიან 250 ლარის მედიკამენტებით. |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა.პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შეძენისათვის ფინანსური დახმარების გზით |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შშმ პირთა სოციალური დაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 | | 15,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ბაშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება ფულადი ფორმით ერთჯერადად: კერძოდ: I და II ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე -500 ლარი,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას -500 ლარი, აგრეთვე, მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე -500 ლარი,დაუნის სინდრომის მქონე, ცერებრული დამბლის მქონე,აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე და ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე 500-500 ლარი წელიწადში ერთხელ. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია შშმ პირთა ფინანსური მხარდაჭერა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 03 | | 348,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ბაშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:<br><br>**ყოველ ახალშობილ ბავშვზე** ერთჯერადი დახმარება პირველი შვილის დაბადებაზე - 500 ლარი, მეორე შვილის დაბადებაზე- 600 ლარი, მესამე შვილის დაბადებაზე- 700 ლარი, მეოთხე შვილის დაბადებაზე-1000 ლარი, მეხუთე შვილის დაბადებაზე-1500 ლარი,მეექვსე და ყოველ შემდგომ შვილზე დაემატოს -500 ლარი, ტყუპი შვილის დაბადებაზე -1000 ლარი გაიცემა დამატებით თითოეული ბავშვის დაბადების რიგითობის შესაბამისად გასაცემ თანხასთან ერთად.<br><br>**მრავალშვილიანი ოჯახების** დახმარების მიმღები არის მრავალშვილიანი ოჯახის ყოველი | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | არასრულწლოვანი -18 წლამდე ასაკის შვილი - 150 ლარის ოდენობით.<br><br>**უდედმამო ბავშვების** დახმარება (18 წლამდე) -1000 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.<br><br>**ცელიაკიითა და ფენილკეტონურიით** დაავადებული ბავშვების დახმარება ყოველთვიურად 400 ლარის ოდენობით (18 წლამდე).<br><br>**ოჯახში ხანდაზმულ 85 და 90 წელს** გადაცილებულ მოქალაქეებზე გაიცემა ერთჯერადად 300 ლარი,<br><br>**ჰემოდიალიზზე** მყოფ ოჯახის წევრს დახმარება მიეცემა თვეში 200 ლარის ოდენობით.<br><br>**ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით** უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაცემა თვეში 300 ლარის ოდენობით 6 თვის განმავლიბაში.<br><br>**ყოველწლიური ფულადი** დახმარება სკოლის ოქროსმედალოსანზე სტუდენტობის პერიოდში 1000 ლარის,ხოლო ვერცხლისმედალოსანზე-500 ლარის ოდენობით<br><br>მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალური შემწეობის მიმღები, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის **სტუდენტებს** სწავლის საფასური თითოეულ სტუდენტს დაუფინანსდება 80 %-ით (ყოველწლიური სწავლის საფასურის 2250 ლარის 80 %) ხოლო სკოლის ოქროსმედალოსან სტუდენტს სწავლის საფასური 100 %-ით (სწავლის საფასური 2250) , აგრეთვე, იმ ოჯახების,სადაც არის ორი და მეტი სტუდენტი ან ოქროსმედალოსანი ,თითოეული სტუდენტი დაფინანსდება 80%-ით(ყოველწლიური სწავლის საფასურის 2250 ლარის 80%-ით),ხოლო ოქროსმედალოსანი 100%-ით..<br><br>ასევე, გათვალისწინებულია საახალწლოდ ოჯახებისა და ბავშვების დახმარება სასაჩუქრე კალათებით. |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა ფინანსური მხარდაჭერა და ხელშეწყობილია სოციალურ და ჯანდაცვის სერვისებზე მათი ხელმისაწვდომობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | უპატრონო მიცვალებულებისა და ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 04 | | 1,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა სარიტუალო მომსახურება-500 ლარი და ავღანეთის ომის მონაწილე პირთა სარიტუალო მომსახურება-500 ლარი,ასევე უპატრონო და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი - 500 ლარი. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლებში გარდაცვლილ მეომართა და ავღანეთის ომის მონაწილე პირთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ხელშეწყობა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 05 | | 15,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით,სტიქიით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ ), ასევე სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახს ერთჯერადად 5000 ლარამდე. დახმარება შეიძლება გაიცეს სამშენებლო მასალების სახითაც. | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | შექმნილია პირობები ხანძრისა და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის. |

## მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს და გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობის ხარჯებს.

| პროგრამული კოდი | დასახელება | რიცხოვნობა | 2024 წელი |
|---|---|---|---|
| 01 00 | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **73,0** | **3283,5** |
| 01 01 | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** | **73,0** | **3222,8** |
| 01 01 01 | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 18,0 | 848,4 |
| 01 01 02 | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია | 55,0 | 2374,4 |
| 01 02 | **საერთო დანიშნულების ხარჯები** | 0,0 | **50,0** |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | - | 50,0 |
| 01 03 | **ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობა** | - | **10,7** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 01 03 | | 10,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის გენდერული პოლიტიკის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა.ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.კერძოდ: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის სემინარების , შეხვედრების, მრგვალი მაგიდების, ტრენინგების, კონფერენციების ჩატარება, საინფორმაციო კამპანიებისთვის საჭირო მასალების მომზადება(ფლაერები,ვიდეო-კლიპები)გენდერული თანასწორობის საკითხებზე კვლევების ჩატარება და სხვა;ასევე დაგეგმილია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით. ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობის დაფინანსებისთვის საჭირო თანხას მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერია გამოყოფს აღნიშნული ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან შესაბამის ფინანსურ დახმარებას. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ყაზბეგის | მიზანი 16-ის ამოცანა 16.6 ეფექტიანი ,ანგარიშვალდებული და გამჭვირვალეთვითმართველი ორგანოების შექმნა | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტთან მისადაგებელი ამოცანა,რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | ამოცანა 16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე ინკლუზიური,მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში შექმნილია პირობები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის და ხელშეწყობილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე. | | |

## ყაზბეგის ბიუჯეტის ასიგნებები

### მუხლი 19. ბიუჯეის ასიგნებები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით

| ორგ. კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის გეგმა | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემო-სავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემო-სავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | **ყაზბეგის მუნიციპალიტეტი** | **14,522.9** | **4,416.4** | **10106,5** | **28925,2** | **4,333.3** | **24,591.9** | **35,423.5** | **7,219.7** | **28,203.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 76.0 | | 76.0 | 76.0 | | 76.0 | 73.0 | | 73.0 |
| | ხარჯები | 8,341.9 | 158.5 | 8,183.4 | 11087,0 | 246.9 | 10,840.1 | 12,944.9 | 228.6 | 12,716.3 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,645.7 | 42.6 | 1,603.1 | 1,945.7 | 70.8 | 1,874.9 | 2,054.2 | 0.0 | 2,054.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6,144.0 | 4,257.9 | 1,886.1 | 17803,2 | 4,086.4 | 13,716.8 | 22,445.6 | 6,991.1 | 15,454.5 |
| | ვალდებულებების კლება | 37.0 | 0.0 | 37.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| 01 00 | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **2,774.7** | **46.6** | **2,728.1** | **3,197.5** | **82.9** | **3,114.6** | **3,283.5** | **0.0** | **3,283.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 72.0 | 0.0 | 72.0 | 72.0 | 0.0 | 72.0 | 78.0 | 0.0 | 78.0 |
| | ხარჯები | 2,449.3 | 46.6 | 2,402.7 | 3,114.9 | 80.3 | 3,034.6 | 3,196.2 | 0.0 | 3,196.2 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,645.7 | 42.6 | 1,603.1 | 1,945.7 | 70.8 | 1,874.9 | 2,054.2 | 0.0 | 2,054.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 325.4 | 0.0 | 325.4 | 82.6 | 2.6 | 80.0 | 87.3 | 0.0 | 87.3 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **01 01** | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** | **2,774.7** | **46.6** | **2,728.1** | **3,151.8** | **82.9** | **3,068.9** | **3,222.8** | **0.0** | **3,222.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 72.0 | | 72.0 | 72.0 | | 72.0 | 78 | | 78.0 |
| | ხარჯები | 2,449.3 | 46.6 | 2,402.7 | 3,069.2 | 80.3 | 2,988.9 | 3,135.5 | 0.0 | 3,135.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,645.7 | 42.6 | 1,603.1 | 1,945.7 | 70.8 | 1,874.9 | 2,054.2 | 0.0 | 2,054.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 325.4 | 0.0 | 325.4 | 82.6 | 2.6 | 80.0 | 87.3 | 0.0 | 87.3 |
| **01 01 01** | **მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **639.5** | **0.0** | **639.5** | **778.4** | **0.0** | **778.4** | **848.4** | **0.0** | **848.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 18.0 | | 18.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| | ხარჯები | 639.5 | 0.0 | 639.5 | 778.4 | 0.0 | 778.4 | 848.4 | 0.0 | 848.4 |
| | შრომის ანაზღაურება | 489.4 | 0.0 | 489.4 | 538.7 | 0.0 | 538.7 | 575.0 | 0.0 | 575.0 |
| **01 01 02** | **მუნიციპალიტეტის მერია** | **2,071.5** | **0.0** | **2,071.5** | **2,290.5** | **0.0** | **2,290.5** | **2,374.4** | **0.0** | **2,374.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 58.0 | | 58.0 | 58.0 | 0.0 | 58.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | ხარჯები | 1,746.1 | 0.0 | 1,746.1 | 2,210.5 | 0.0 | 2,210.5 | 2,287.1 | 0.0 | 2,287.1 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,097.0 | 0.0 | 1,097.0 | 1,336.2 | 0.0 | 1,336.2 | 1,479.2 | 0.0 | 1,479.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 325.4 | 0.0 | 325.4 | 80.0 | 0.0 | 80.0 | 87.3 | 0.0 | 87.3 |
| **01 01 03** | **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური** | **64.0** | **46.6** | **17.4** | **82.9** | **82.9** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 3.0 | | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 0.0 | |
| | ხარჯები | 64.0 | 46.6 | 17.4 | 80.3 | 80.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 59.3 | 42.6 | 16.7 | 70.8 | 70.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2.6 | 2.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **01 02** | **საერთო დანიშნულების ხარჯები** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **35.0** | **0.0** | **35.0** | **50.0** | **0.0** | **50.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **01 02 01** | **სარეზერვო ფონდი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **35.0** | **0.0** | **35.0** | **50.0** | **0.0** | **50.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| **01 03** | **ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **10.7** | **0.0** | **10.7** | **10.7** | **0.0** | **10.7** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 10.7 | 0.0 | 10.7 | 10.7 | 0.0 | 10.7 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **6,971.4** | **4,173.3** | **2,798.1** | **18779,4** | **4,083.8** | **14,695.6** | **23,838.5** | **6,988.1** | **16,850.4** |
| | ხარჯები | 1,360.0 | 0.0 | 1,360.0 | 1,923.9 | 0.0 | 1,923.9 | 2,098.8 | 0.0 | 2,098.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,611.4 | 4,173.3 | 1,438.1 | 16855,5 | 4,083.8 | 12,771.7 | 21,739.7 | 6,988.1 | 14,751.6 |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **3,290.9** | **2,276.7** | **1,014.2** | **7,028.2** | **2,463.5** | **4,564.7** | **9,347.0** | **5,223.3** | **4,123.7** |
| | ხარჯები | 12.5 | 0.0 | 12.5 | 13.3 | 0.0 | 13.3 | 454.4 | 0.0 | 454.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,278.4 | 2,276.7 | 1,001.7 | 7,014.9 | 2,463.5 | 4,551.4 | 8,892.6 | 5,223.3 | 3,669.3 |
| **02 01 01** | **ახალი გზების მშენებლობა** | **3,278.4** | **2,276.7** | **1,001.7** | **6,864.9** | **2,463.5** | **4,401.4** | **9,323.8** | **5,223.3** | **4,100.5** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 438.8 | 0.0 | 438.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,278.4 | 2,276.7 | 1,001.7 | 6,864.9 | 2,463.5 | 4,401.4 | 8,885.0 | 5,223.3 | 3,661.7 |
| **02 01 02** | **გზების მიმდინარე შეკეთება** | **12.5** | **0.0** | **12.5** | **163.3** | **0.0** | **163.3** | **23.2** | **0.0** | **23.2** |
| | ხარჯები | 12.5 | 0.0 | 12.5 | 13.3 | 0.0 | 13.3 | 15.6 | 0.0 | 15.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 7.6 | 0.0 | 7.6 |
| **02 02** | **წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **1,735.9** | **1,478.8** | **257.1** | **1,394.6** | **0.0** | **1,394.6** | **1,644.6** | **0.0** | **1,644.6** |
| | ხარჯები | 183.2 | 0.0 | 183.2 | 229.6 | 0.0 | 229.6 | 415.3 | 0.0 | 415.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,552.7 | 1,478.8 | 73.9 | 1,165.0 | 0.0 | 1,165.0 | 1,229.3 | 0.0 | 1,229.3 |
| **02 02 01** | **სასმელი წყლის მოწყობა, რეაბილიტაცია** | **19.4** | **0.0** | **19.4** | **721.9** | **0.0** | **721.9** | **775.1** | **0.0** | **775.1** |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 19.4 | 0.0 | 19.4 | 721.9 | 0.0 | 721.9 | 775.1 | 0.0 | 775.1 |
| **02 02 02** | **კანალიზაციის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია** | **1,533.3** | **1,478.8** | **54.5** | **434.1** | **0.0** | **434.1** | **444.2** | **0.0** | **444.2** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,533.3 | 1,478.8 | 54.5 | 434.1 | 0.0 | 434.1 | 444.2 | 0.0 | 444.2 |
| **02 02 03** | **წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა** | **183.2** | **0.0** | **183.2** | **238.6** | **0.0** | **238.6** | **425.3** | **0.0** | **425.3** |
| | ხარჯები | 183.2 | 0.0 | 183.2 | 229.6 | 0.0 | 229.6 | 415.3 | 0.0 | 415.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| **02 03** | **გარე განათება** | **119.9** | **0.0** | **119.9** | **133.7** | **0.0** | **133.7** | **15.5** | **0.0** | **15.5** |
| | ხარჯები | 119.9 | 0.0 | 119.9 | 133.7 | 0.0 | 133.7 | 15.5 | 0.0 | 15.5 |
| **02 03 02** | **გარე განათების მოვლა- პატრონობა** | **119.9** | **0.0** | **119.9** | **133.7** | **0.0** | **133.7** | **15.5** | **0.0** | **15.5** |
| | ხარჯები | 119.9 | 0.0 | 119.9 | 133.7 | 0.0 | 133.7 | 15.5 | 0.0 | 15.5 |
| **02 04** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **1,063.6** | **120.0** | **943.6** | **6,770.2** | **150.0** | **6,620.2** | **8,301.3** | **0.0** | **8,301.3** |
| | ხარჯები | 739.0 | 0.0 | 739.0 | 994.1 | 0.0 | 994.1 | 717.4 | 0.0 | 717.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 324.6 | 120.0 | 204.6 | 5,776.1 | 150.0 | 5,626.1 | 7,583.9 | 0.0 | 7,583.9 |
| **02 04 01** | **მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **1,145.1** | **0.0** | **1,145.1** | **6,074.3** | **0.0** | **6,074.3** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1,145.1 | 0.0 | 1,145.1 | 6,074.3 | 0.0 | 6,074.3 |
| **02 04 02** | **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა** | **166.2** | **120.0** | **46.2** | **2,409.0** | **150.0** | **2,259.0** | **604.4** | **0.0** | **604.4** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 166.2 | 120.0 | 46.2 | 2,409.0 | 150.0 | 2,259.0 | 604.4 | 0.0 | 604.4 |
| **02 04 03** | **დ.სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის ურბანული განახლება** | **897.4** | **0.0** | **897.4** | **3,216.1** | **0.0** | **3,216.1** | **1,622.6** | **0.0** | **1,622.6** |
| | ხარჯები | 739.0 | 0.0 | 739.0 | 994.1 | 0.0 | 994.1 | 717.4 | 0.0 | 717.4 |
| | არაფინანსური | 158.4 | 0.0 | 158.4 | 2,222.0 | 0.0 | 2,222.0 | 905.2 | 0.0 | 905.2 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტივების ზრდა | | | | | | | | | |
| **02 05** | **საპროექტო-სახარჯაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა** | **157.9** | **0.0** | **157.9** | **669.2** | **0.0** | **669.2** | **1,091.0** | **0.0** | **1,091.0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 157.9 | 0.0 | 157.9 | 669.2 | 0.0 | 669.2 | 1,091.0 | 0.0 | 1,091.0 |
| **02 07** | **სოფლის პროგრამის მხარდაჭერა** | **341.7** | **297.8** | **43.9** | **1,461.3** | **530.3** | **931.0** | **1,956.3** | **824.8** | **1,131.5** |
| | ხარჯები | 43.9 | 0.0 | 43.9 | 171.0 | 0.0 | 171.0 | 42.0 | 0.0 | 42.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 297.8 | 297.8 | 0.0 | 1,290.3 | 530.3 | 760.0 | 1,914.3 | 824.8 | 1,089.5 |
| **02 08** | **ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა** | **261.5** | **0.0** | **261.5** | **322.5** | **0.0** | **322.5** | **374.8** | **0.0** | **374.8** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 322.5 | 0.0 | 322.5 | 374.2 | 0.0 | 374.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.6 | 0.0 | 0.6 |
| **02 09** | **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **999.7** | **940.0** | **59.7** | **1,108.0** | **940.0** | **168.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 59.7 | 0.0 | 59.7 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 940.0 | 940.0 | 0.0 | 1,028.0 | 940.0 | 88.0 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1,014.7** | **0.0** | **1,014.7** | **1,717.0** | **0.0** | **1,717.0** | **1,892.2** | **0.0** | **1,892.2** |
| | ხარჯები | 896.8 | 0.0 | 896.8 | 1,186.9 | 0.0 | 1,186.9 | 1,790.3 | 0.0 | 1,790.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 80.9 | 0.0 | 80.9 | 495.1 | 0.0 | 495.1 | 68.9 | 0.0 | 68.9 |
| | ვალდებულებების კლება | 37.0 | 0.0 | 37.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| **03 01** | **დასუფთავების ღონისძიებები** | **51.4** | **0.0** | **51.4** | **522.0** | **0.0** | **522.0** | **101.0** | **0.0** | **101.0** |
| | ხარჯები | 14.4 | 0.0 | 14.4 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 474.0 | 0.0 | 474.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| | ვალდებულებების კლება | 37.0 | 0.0 | 37.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| **03 02** | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და** | **711.9** | **0.0** | **711.9** | **905.5** | **0.0** | **905.5** | **1,491.5** | **0.0** | **1,491.5** |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნარჩენების გატანა | | | | | | | | | |
| | ხარჯები | 708.7 | 0.0 | 708.7 | 898.9 | 0.0 | 898.9 | 1,485.7 | 0.0 | 1,485.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.2 | 0.0 | 3.2 | 6.6 | 0.0 | 6.6 | 5.8 | 0.0 | 5.8 |
| **03 03** | **ა(ა)იპ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი** | **219.2** | **0.0** | **219.2** | **234.7** | **0.0** | **234.7** | **294.2** | **0.0** | **294.2** |
| | ხარჯები | 141.5 | 0.0 | 141.5 | 221.7 | 0.0 | 221.7 | 291.1 | 0.0 | 291.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 77.7 | 0.0 | 77.7 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 3.1 | 0.0 | 3.1 |
| **03 04** | **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა** | **32.2** | **0.0** | **32.2** | **54.8** | **0.0** | **54.8** | **5.5** | **0.0** | **5.5** |
| | ხარჯები | 32.2 | 0.0 | 32.2 | 53.3 | 0.0 | 53.3 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 00** | **განათლება** | **1,489.7** | **145.4** | **1,344.3** | **2,039.7** | **64.3** | **1,975.4** | **2,347.5** | **54.1** | **2,293.4** |
| | ხარჯები | 1,390.3 | 60.8 | 1,329.5 | 1,722.7 | 64.3 | 1,658.4 | 1,994.0 | 54.1 | 1,939.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 99.4 | 84.6 | 14.8 | 317.0 | 0.0 | 317.0 | 353.5 | 0.0 | 353.5 |
| **04 01** | **ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** | **1,329.5** | **0.0** | **1,329.5** | **1,666.4** | **0.0** | **1,666.4** | **1,973.5** | **0.0** | **1,973.5** |
| | ხარჯები | 1,329.5 | 0.0 | 1,329.5 | 1,658.4 | 0.0 | 1,658.4 | 1,939.9 | 0.0 | 1,939.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 | 33.6 | 0.0 | 33.6 |
| **04 02** | **საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია** | **99.4** | **84.6** | **14.8** | **309.0** | **0.0** | **309.0** | **319.9** | **0.0** | **319.9** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 99.4 | 84.6 | 14.8 | 309.0 | 0.0 | 309.0 | 319.9 | 0.0 | 319.9 |
| **04 03** | **განათლების ხელშეწყობა** | **60.8** | **60.8** | **0.0** | **64.3** | **64.3** | **0.0** | **54.1** | **54.1** | **0.0** |
| | ხარჯები | 60.8 | 60.8 | 0.0 | 64.3 | 64.3 | 0.0 | 54.1 | 54.1 | 0.0 |
| **05 00** | **სპორტი, კულტურა და ახალგაზრდობა** | **1,560.5** | **0.0** | **1,560.5** | **2,332.0** | **0.0** | **2,332.0** | **2,884.8** | **0.0** | **2,884.8** |
| | ხარჯები | 1,537.6 | 0.0 | 1,537.6 | 2,279.0 | 0.0 | 2,279.0 | 2,691.6 | 0.0 | 2,691.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 22.9 | 0.0 | 22.9 | 53.0 | 0.0 | 53.0 | 193.2 | 0.0 | 193.2 |
| **05 01** | **სპორტის სფეროს განვითარება** | **433.9** | **0.0** | **433.9** | **1,109.0** | **0.0** | **1,109.0** | **1,500.8** | **0.0** | **1,500.8** |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 425.0 | 0.0 | 425.0 | 1,095.0 | 0.0 | 1,095.0 | 1,333.8 | 0.0 | 1,333.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.9 | 0.0 | 8.9 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 167.0 | 0.0 | 167.0 |
| **05 01 01** | **სპორტული ღონისძიებები** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **160.0** | **0.0** | **160.0** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 160.0 | 0.0 | 160.0 |
| **05 01 02** | **ა(ა)იპ "ყაზბეგის სპორტის განვითარების ცენტრი"** | **433.9** | **0.0** | **433.9** | **1,034.0** | **0.0** | **1,034.0** | **780.8** | **0.0** | **780.8** |
| | ხარჯები | 425.0 | 0.0 | 425.0 | 1,020.0 | 0.0 | 1,020.0 | 773.8 | 0.0 | 773.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.9 | 0.0 | 8.9 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| **05 01 03** | **მცხეთა მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **75.0** | **0.0** | **75.0** | **560.0** | **0.0** | **560.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 75.0 | 0.0 | 75.0 | 560.0 | 0.0 | 560.0 |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | **1,126.6** | **0.0** | **1,126.6** | **1,223.0** | **0.0** | **1,223.0** | **1,384.0** | **0.0** | **1,384.0** |
| | ხარჯები | 1,112.6 | 0.0 | 1,112.6 | 1,184.0 | 0.0 | 1,184.0 | 1,357.8 | 0.0 | 1,357.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 14.0 | 0.0 | 14.0 | 39.0 | 0.0 | 39.0 | 26.2 | 0.0 | 26.2 |
| **05 02 01** | **კულტურული ღონისძიებები** | **3.0** | **0.0** | **3.0** | **3.0** | **0.0** | **3.0** | **104.0** | **0.0** | **104.0** |
| | ხარჯები | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 104.0 | 0.0 | 104.0 |
| **05 02 02** | **ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურის განვითარების ცენტრი** | **1,119.5** | **0.0** | **1,119.5** | **1,170.0** | **0.0** | **1,170.0** | **1,230.0** | **0.0** | **1,230.0** |
| | ხარჯები | 1,105.5 | 0.0 | 1,105.5 | 1,131.0 | 0.0 | 1,131.0 | 1,203.8 | 0.0 | 1,203.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 14.0 | 0.0 | 14.0 | 39.0 | 0.0 | 39.0 | 26.2 | 0.0 | 26.2 |
| **05 02 03** | **რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა** | **4.1** | **0.0** | **4.1** | **50.0** | **0.0** | **50.0** | **50.0** | **0.0** | **50.0** |
| | ხარჯები | 4.1 | 0.0 | 4.1 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 711.9 | 51.1 | 660.8 | 859.6 | 102.3 | 757.3 | 1,177.0 | 177.5 | 999.5 |
| | ხარჯები | 707.9 | 51.1 | 656.8 | 859.6 | 102.3 | 757.3 | 1,174.0 | 174.5 | 999.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 |
| 06 01 | ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვა | 112.7 | 51.1 | 61.6 | 102.3 | 102.3 | 0.0 | 177.5 | 177.5 | 0.0 |
| | ხარჯები | 112.7 | 51.1 | 61.6 | 102.3 | 102.3 | 0.0 | 174.5 | 174.5 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 599.2 | 0.0 | 599.2 | 757.3 | 0.0 | 757.3 | 999.5 | 0.0 | 999.5 |
| | ხარჯები | 595.2 | 0.0 | 595.2 | 757.3 | 0.0 | 757.3 | 999.5 | 0.0 | 999.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 319.7 | 0.0 | 319.7 | 425.0 | 0.0 | 425.0 | 620.0 | 0.0 | 620.0 |
| | ხარჯები | 319.7 | 0.0 | 319.7 | 425.0 | 0.0 | 425.0 | 620.0 | 0.0 | 620.0 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 6.3 | 0.0 | 6.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 15.5 | 0.0 | 15.5 |
| | ხარჯები | 2.3 | 0.0 | 2.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 15.5 | 0.0 | 15.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 03 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 248.3 | 0.0 | 248.3 | 250.3 | 0.0 | 250.3 | 348.0 | 0.0 | 348.0 |
| | ხარჯები | 248.3 | 0.0 | 248.3 | 250.3 | 0.0 | 250.3 | 348.0 | 0.0 | 348.0 |
| 06 02 04 | უპატრონო მიცვალებულებისა და ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 |
| **06 02 05** | **უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვა** | **24.9** | **0.0** | **24.9** | **55.0** | **0.0** | **55.0** | **15.0** | **0.0** | **15.0** |
| | ხარჯები | 24.9 | 0.0 | 24.9 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |

## მარეგულირებელი ნორმები

### მუხლი 20. ასიგნებების დაფინანსება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

### მუხლი 21. ასიგნებების გადანაწილება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

### მუხლი 22. კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2024 წლის განმავლობაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

### მუხლი 23. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

### მუხლი 24. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 503,6 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 177,5 ათ. ლარი;

ბ) „თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 272.0 ათ. ლარი;

გ) საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 54.1 ათ.ლარი.

### მუხლი 25. სარეზერვო ფონდი

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 50,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.